# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

26 თებერვალი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 34 (10447) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ფოთი ემზადება...

ფოთი 91

## ტრიბუნა აიგო



მალთაყვის ტყე-პარკში სპორტკლუბ „აიას“ საწყლოსნო კომპლექსის ტერიტორიაზე, იქ, სადაც წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატი უნდა გაიმართოს, დასრულდა მშენებლობა 1350 მაყურებელზე გათვალისწინებული ტრიბუნისა, რომელიც ააგეს „საქთევზმრეწვის“ სამშენებლო სამმართველოს ფოთის უბნის (უფროსი გ. აბურჯანია) მშენებლებმა.

ამ ნაგებობის პირველ სართულზე განლაგებულია სასწავლო-საწვრთნელი, დასასვენებელი, სასტუმრო ოთახები, საშხაპეები, სასადილო, კაფე-ბარი.

## ზონალურ ასპარეზობაში ოთხი ქართველი გოგონა გაიოპა

**როგორც** უკვე ვიუწყებოდით, ყაზანში დამთავრებულ 12 და 14 წლამდე ასაკის გოგონათა საკავშირო ჩემპიონატზე (მონაწილეობდა 54 მოჭადრაკე) შესანიშნავად იასპარეზეს ქუთაისელმა მოჭადრაკეებმა: სოფიკო ტყეშელაშვილმა და ნათია აფხაიძემ, რომლებმაც ჩემპიონის სახელი მოიპოვეს. სოფიკოს ეს წოდება 12 წლამდე ასაკის გოგონათა შორის მიენიჭა, ხოლო ნათია უძლიერესი იყო 14 წლამდე ასაკის გოგონებში. ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ 12 წლამდე ასაკის გოგონათა ტურნირში 6 ქულით მეორე ადგილი დაიკავა სოხუმელმა ოსტატობის კანდიდატმა რუსუდან გოლეთიანმა, ხოლო მესამე — ნატალია ჟუკოვამ. თოთხმეტ წლამდე ასაკის გოგონებში 7 ქულით მეორე იყო ერევნელი ელინა დანიელიანი, ხოლო 6,5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა თბილისელი მირანდა ხორავა.

საერთო ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. სოფიკო ტყეშელაშვილი — 7,5, 2. ნათია აფხაიძე — 7,5, 3. ელინა დანიელიანი — 7. მირანდა ხორავამ 6,5 ქულით IV ადგილი დაიკავა. რაც შეეხება რუსუდან გოლეთიანს, მას 6 ქულით მეექვსე ადგილი ერგო!

ოთხივე ქართველმა მოჭადრაკემ — ს. ტყეშელაშვილმა, რ. გოლეთიანმა, ნ. აფხაიძემ და მ. ხორავამ მოიპოვეს უფლება მონაწილეობა მიიღონ 12 და 14 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატის ზონალურ ტურნირებში, რომელიც მიმდინარე წლის მარტში ქალაქ სოჭში გაიმართება.

**თენგიზ პაჭკორია,**
„ლელოს“ საკ. კორესპონდენტი.
სოხუმი.

## ტურნირები და შედეგები

**კალათბურთი.** ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: ნკი (ნიკოლაევი) — ვეფ (რიგა) 87:85 (43:43), და, 97:104 (40:44), „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) — ასკ (რიგა) 98:84 (56:35), ცსკა — „სპარტაკი“ (ლუგანსკი) 96:74 (48:39).

**ველოსპორტი.** პროფესიონალ ველოსიპედისტთა რბოლის („სიცილიის კვირეულის“) პირველი ეტაპის ფინიში ათმა ველოსიპედისტმა გადაკვეთა ერთნაირი დროით. ელექტრონულმა წამმზომმა 179 კილომეტრზე 4:13.56 აჩვენა. უპირატესობა მიენიჭა ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვს, უმთავრესად, თავისი ცნობილი ფინიშის წყალობით.

**ბიატლონი.** ფინეთის ქალაქ ლახტში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ვაჟთა ესტაფეტა (4X7,5 კმ) გერმანიის ნაკრებმა მოიგო (რიკო გროსი, ფრანკ ლიუკი, მარკ კირჰნერი და ფრიც ფიშერი) — 1:33.33,5.

**მაგიდის ჩოგბურთი.** ჩეხოსლოვაკიის ქალთა ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში უნგრეთის ნაკრებმა აჯობა საბჭოთა გუნდს — 3:1.

**თავისუფალი ჭიდაობა.** მონღოლეთის დედაქალაქის სპორტის სასახლეში დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი — „მონგოლ გობი-91“, რომელშიც მონაწილეობენ საკმაოდ ცნობილი ათლეტები — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები. შეჯიბრება, რომელიც 1972 წლიდან ტარდება, ადრე „ინტერნაციონალის“ სახელით იყო ცნობილი.

**ჩოგბურთი.** ანდრეი ჩერკასოვი დამარცხდა შტუტგარტის საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში ნაკლებადცნობილ ჰოლანდიელ იან სიმერინკთან — 6:7, 5:7. სტეფან ედბერგმა (შვეცია) კი აჯობა თანამემამულეს მაგნუს გუსტაფსონს (6:2, 6:3) და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

## ეს-ესაა შევიტყვეთ...

### კალათბურთი

გაიმართა ნბა-ს კალათბურთელთა პროფესიული ლიგის მორიგი ტურის მატჩები:

„ფილადელფია“ — „ნიუ ჯერსი“ 103:90, „ნიუ-იორკი“ — „ვაშინგტონი“ — 104:101, „ატლანტა“ — „დალასი“ 122:107, „ჩიკაგო“ — „შარლოტა“ 129:108, „მილუოკი“— „კლივლენდი“ 118:103, „დენვერი“ — „გოლდენ სტეიტი“ 150:145, „ფენიქსი“ — „სიეტლი“ 120:110, „ინდიანა“ — „ბოსტონი“ 115:109, „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ — „დეტროიტი“ 102:96, „ჰიუსტონი“ — „მინესოტა“ 100:91, „ნიუ-იორკი“ — „მაიამი“ 108:92, „ორლანდო“ — „საკრამენტო“ 120:90, „ლოს ანჯელეს კლიპერსი“ — „დენვერი“ 129:112, „სან ანტონიო“ — „პორტლენდი“ 95:88, „სიეტლი“ — „იუტა“ 103:91.

**დასავლეთის კონფერენცია**

**ატლანტის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „ბოსტონი“ | 40 | 14 | 741 |
| „ფილადელფია“ | 29 | 24 | 547 |
| „ნიუ-იორკი“ | 24 | 31 | 436 |
| „ვაშინგტონი“ | 22 | 33 | 400 |
| „ნიუ-ჯერსი“ | 17 | 37 | 315 |
| „მაიამი“ | 16 | 38 | 296 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩიკაგო“ | 39 | 14 | 736 |
| „დეტროიტი“ | 37 | 19 | 661 |
| „მილუოკი“ | 34 | 21 | 618 |
| „ატლანტა“ | 30 | 24 | 556 |
| „ინდიანა“ | 25 | 28 | 472 |
| „კლივლენდი“ | 19 | 36 | 345 |
| „შარლოტა“ | 16 | 37 | 302 |

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**შუა-დასავლეთის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „სან ანტონიო“ | 34 | 17 | 667 |
| „იუტა-ჯაზი“ | 35 | 18 | 660 |
| „ჰიუსტონი“ | 31 | 23 | 574 |
| „დალასი“ | 20 | 32 | 385 |
| „მინესოტა“ | 17 | 36 | 321 |
| „ორლანდო“ | 17 | 36 | 321 |
| „დენვერი“ | 15 | 38 | 283 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტლენდი“ | 44 | 11 | 800 |
| „ლოს-ანჯ. ლეიკერსი“ | 40 | 14 | 714 |
| „ფენიქსი“ | 35 | 18 | 660 |
| „გოლდენ სტეიტი“ | 29 | 24 | 547 |
| „სიეტლი“ | 25 | 28 | 472 |
| „ლოს-ანჯ. კლიპერსი“ | 18 | 35 | 340 |
| „საკრამენტო“ | 15 | 37 | 288 |

### ფეხბურთი

ევროპის საფეხბურთო სტადიონებზე გაიმართა ეროვნული ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები:

**იტალია**

„ბარი“ — „ჩეზენა“ 1:0, „ბოლონია“ — „ლაციო“ 1:2, „კალიარი“ — „მილანი“ 1:1, „ფიორენტინა“ — „პიზა“ 4:0, „ინტერნაციონალე“ — „ატლანტა“ 3:1, „იუვენტუსი“ — „ლეჩე“ 0:0, „ნაპოლი“ — „ჯენოვა“ 1:0, „რომა“ — „ტორინო“ 2:0, „სამპდორია“ — „პარმა“ 1:0.

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სამპდორია“ | 22 | 13 | 6 | 3 | 32 |
| „ინტერი“ | 22 | 12 | 7 | 3 | 31 |
| „მილანი“ | 22 | 11 | 8 | 3 | 30 |
| „იუვენტუსი“ | 22 | 10 | 8 | 4 | 28 |
| „პარმა“ | 22 | 9 | 7 | 6 | 25 |
| „ჯენოვა“ | 22 | 8 | 8 | 6 | 24 |
| „ლაციო“ | 22 | 5 | 14 | 3 | 24 |
| „ტორინო“ | 22 | 8 | 7 | 7 | 23 |
| „რომა“ | 22 | 8 | 7 | 7 | 23 |
| „ნაპოლი“ | 22 | 6 | 10 | 6 | 22 |
| „ბარი“ | 22 | 7 | 7 | 8 | 21 |
| „ფიორენტინა“ | 22 | 5 | 10 | 7 | 20 |
| „ატლანტა“ | 22 | 5 | 9 | 8 | 19 |
| „ლეჩე“ | 22 | 4 | 10 | 8 | 18 |
| „პიზა“ | 22 | 6 | 5 | 11 | 17 |
| „ბოლონია“ | 22 | 3 | 8 | 11 | 14 |
| „კალიარი“ | 22 | 2 | 10 | 10 | 14 |
| „ჩეზენა“ | 22 | 3 | 5 | 14 | 11 |

**გაიმართა** იტალიის თასის გათამაშების მორიგი მატჩებიც: დიეგო მარადონას „ნაპოლიმ“ მოიგო გასვლითი მატჩი „ბოლონიასთან“ (3:1), და გავიდა ნახევარფინალში. ანგარიში 54-ე წუთზე გახსნა მარიანიმ („ბოლონია“). 71-ე წუთზე საპასუხო გოლი მარადონას გადაცემის შემდეგ მაურომ გაიტანა. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე, იმავე მარადონას ზუსტი პასის შემდეგ, ფერარიმ ანგარიში ორამდე გაზარდა. მატჩის უკანასკნელ წამებზე ინფოკიატიმ მესამედ შეარხია ბოლონიელთა კარის ბადე.

„ნაპოლი“ ნახევარფინალში შეხვდება „სამპდორიას“, რომელმაც შინ „ტორინო“ დაამარცხა 1:0 (ამ შეხვედრის ბედი საბოლოოდ პენალტების სერიამ გადაწყვიტა). მეორე ნახევარფინალურ წყვილს „რომა“ და „მილანი“ შეადგენენ.

**ესპანეთი**

„ბურგოსი“ — „ოსასუნა“ 1:1, „ატლეტიკო“ (ბილბაო) — „სპორტინგი“ (ხიხონი) 1:2, „ტენერიფე“ — „ატლეტიკო“ (მადრიდი) 0:0, „ვალიადოლიდი“ — „ბარსელონა“ 1:5, „ბეტისი“ — „კასტელონი“ 1:0, „ვალენსია“ — „სევილია“ 2:1, „ესპანიოლი“ — „მალიორკა“ 3:0, „რეალი“ (მადრიდი) — „სარაგოსა“ 2:0, „ოვიედო“ — „კადისი“ 1:1, „ლოგრონიესი“ — „რეალი“ (სან-სებასტიანი) 0:0.

**მასალები მომზადდა საქართველოს ინფორმატიკისა და ტელეკომუნიკაციის ინსტიტუტთან თანამშრომლობით.**

კოოპერატივის შემწეობით — მძლეოსნობა

## გვეღირსა ქართული ტერმინოლოგია

**20-იან** წლებში ჩაისახა ქართული სპორტული ტერმინოლოგიის შექმნის იდეა. 70 წლის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი კომისია შეიქმნა, ვერა და ვერ მოხერხდა ამ პრობლემების გადაჭრა. საქმე დღესაც არ დაძრულა მკვდარი წერტილიდან. თუმცა, ახლა იმედის სხივი მაინც გამოკრთა — რედაქციაში მოგვიტანეს სულ ახლახან გამოცემული ბროშურა, რომელშიც თავმოყრილია მძლეოსნობის ქართული ტერმინები, 82-გვერდიანი ეს ნაშრომი გამოვიდა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტისა და რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის ეგიდით.

მრავალი ათეული წლის მანძილზე სპეციალისტ-ავტორთა მიერ გაწეული შრომა შეუკრებია და ერთ ბროშურად შეუდგენია სპორტის ოსტატ ვალერი ვაშაკიძეს. ამ მეტად საჭირო ნაშრომის რეცენზენტებია ვლადიმერ სამსონაძე და გრიგოლ რუხაია. გამოცემა თავს უდვია ფიზკულტურულ-სპორტული მომსახურების კოოპერატივს — „სიმხნევე-88“-ს (თავმჯდომარე ლევან ყურაშვილი).

მკლავჭიდი

## ზესტაფონში შეიქმნა ფედერაცია

**მკლავჭიდმა** საქართველოში საკმაო პოპულარობა მოიპოვა. შარშან მსოფლიო ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრებმა დამოუკიდებელი გუნდით იასპარეზა, მძიმე წონაში ზესტაფონელი ზაურ ცხადაძე კი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ცხადაძის წარმატებამ სტიმული მისცა ზესტაფონელებს, რაიონში ბევრი ენთუზიასტი გამოჩნდა. ახლახან კი სპორტის ამ სახეობაში რაიონული ფედერაციაც ჩამოაყალიბეს. თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს და უკრაინის მრავალგზის პრიზიორი ძიუდოში, სპორტის ოსტატი გივი თუთბერიძე.

ზესტაფონელები მკლავჭიდელთა დიდი შერკინების მოლოდინში არიან.

**დათო ლამბაშიძე,**
„ლელოს“ კორ.
ზესტაფონი.

## „პოპ-84“ და „ბარსელონა“

**ბელგრადი.** იუგოსლავიის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი, სპლიტის „პოპ-84“ (ყოფილი „იუგოპლასტიკა“) მეხუთედ გახდა თავისი ქვეყნის თასის მფლობელი. ფინალში მან მუდმივი მეტოქე, ზაგრების „ციბონა“ დაამარცხა — 80:79 (43:41). ამ მეტად დაძაბული და დრამატული შეხვედრის ბედი, ფაქტობრივად, სპლიტის კალათბურთელთა ოდნავ უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ გადაწყვიტა. უნდა ითქვას, რომ გამარჯვებული კოლექტივი მინიმალურ უპირატესობას მთელი შეხვედრის მანძილზე ინარჩუნებდა. „პოპ-84“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელიცაა.

**მადრიდი.** ესპანეთის თასი კალათბურთში ვაჟთა შორის „ბარსელონამ“ მოიგო. ფინალში მან „ესტუდიანტესი“ დაამარცხა — 67:65, (32:34).

ვაჰ, დრონი, დრონი...

# სახელოვან გზას არ ეღალატება

**ორმოცი-ორმოცდაათიანი** წლების თბილისის უნივერსიტეტის სპორტული ცხოვრების „ოქროს ხანამ“ ერთიანად მიიზიდა სარბიელზე სტუდენტი და ლექტორი, ასპირანტი და პროფესორი. იმდენად დიდი იყო ეს ენთუზიაზმი, რომ ბევრს გაახსენა წარსული, მხრებიდან წლების „ტვირთი ჩამოაბერტყინა“ და ასპარეზობაში ჩააბა. დღეს „ლელოს“ სტუმარია საუნივერსიტეტო სპარტაკიადის მრავალგზის მონაწილე და პრიზიორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ლომოური.

**სპორტმა** ჩემს ცხოვრებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ჯერ კიდევ სკოლაში ხან ერთ სახეობას მივეკედლებოდი, ხან მეორეს. მძლეოსნობაშიც ვცადე ბედი, ჩოგბურთშიც, მაგრამ ვერც ერთს ვერ გავყევი; ვთამაშობდი, ცხადია, ფეხბურთსაც. ბოლო კლასში და სტუდენტობის პირველ წლებში ალპინიზმმა გამიტაცა; ცნობილი ქართველი ალპინისტების ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეების ხელმძღვანელობით რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრაც მომიხდა. შემდეგ უნივერსიტეტში კალათბურთმა გამიტაცა შედარებით სერიოზულად, უნივერსიტეტის პირველ გუნდამდეც მივაღწიე ერთხანს, მაგრამ მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, ვერც აქ მივაღწიე დიდ წარმატებებს. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ცნობილ გუნდშიც ვთამაშობდი ფრენბურთს ისეთი დიდი მეცნიერის გვერდით, როგორიც კოტე ბაქრაძე ბრძანდებოდა.

თუმცა პროფესიონალი სპორტსმენი არ ვყოფილვარ, მაინც დიდად ვუმადლი სპორტს: მან ფიზიკურად გამაჯანსაღა, გამძლეობა შემმატა. მაგრამ მთავარი ეს არ იყო: სპორტმა შემძინა ბევრი კარგი თვისება — კოლეგიურობის, მეგობრობის, ურთიერთგატანის, მხარში ამოდგომის უნარი.

ჩემი სტუდენტობის დრო საოცარი ხანა იყო უნივერსიტეტის ცხოვრებაში საერთოდ და კერძოდ საუნივერსიტეტო სპორტულ ცხოვრებაშიც. ეს დიდი ერისკაცის ნიკო კეცხოველის ხანა იყო. თვით შესანიშნავ სპორტსმენს, მას კარგად ესმოდა ფიზიკური მომზადების, სპორტის მნიშვნელობა ჯანსაღი (მე ხაზს ვუსვამ — არა მარტო ჯანმრთელი, არამედ სწორედ ჯანსაღი) ახალგაზრდობის აღზრდაში და დაუდგრომელი ენერგიით, მუხლჩაუხრელად ილვწოდა უნივერსიტეტში სპორტის განსავითარებლად.

ვინც იმ ხანას შესწრებია, შეუძლებელია დაივიწყოს ის საერთო ალმავლობა, არაჩვეულებრივი ენთუზიაზმი, საზოგადოებრივი შემართება, რომელიც მაშინდელ უნივერსიტეტს



ახასიათებდა და კერძოდ მისი სპორტული ცხოვრების ნიშანიც იყო: ხალხმრავალი სპარტაკიადები, სპორტსმენთა უშელავათო ორთაბრძოლები, მაყურებელ-გულშემატკივართა აჟიოტაჟი, ფაკულტეტების კონკურენცია, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან მეტოქეობა და ყველაფერ ამაში მთავარი ფიგურა, აქტიური მონაწილე და წარმმართველი — თვით ნიკო კეცხოველი!

მეჩვენება, რომ მაშინ ახალგაზრდობა უფრო მეტად ეტანებოდა სპორტს; სპორტი იყო, სწავლასთან ერთად, ის უმთავრესი კომპონენტი ახალგაზრდის ცხოვრებისა, რომელიც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა მის ზნეობრივ ფორმირებაზეც, არიდებდა მას უკეთურ და მავნე გატაცებებს. იქნებ ვცდები, მაგრამ ერთგვარი გაგულგრილობა ახალგაზრდობის ერთი ნაწილისა სპორტისადმი, სხვა გატაცებათა გაჩენა, არის ჩვენი მომავალი თაობის ზნეობრივი დევალვაციის ერთ-ერთი მიზეზი.

უნივერსიტეტის სპორტულ ცხოვრებაში ჩემი მონაწილეობა იმითაც არის პირადად ღირსსახსოვარი, რომ აქ, ამ სფეროში გავიცანი არაერთი შესანიშნავი პიროვნება, რომელთაც დიდი და სასიკეთო გავლენა მოახდინეს ჩემს ცხოვრებაზე. ესენი არიან, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მწვრთნელები: შალვა დიასამიძე და გიორგი ავალიშვილი, ბევრი თანაგუნდელი მეგობარ-ამხანაგი და რასაკვირველია, ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი, მარად დაუვიწყარი დავით ქამუშაძე — ნათელი პიროვნება, კაცური კაცი, საქართველოზე და უნივერსიტეტზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანი.

მიუხედავად ჩემი, როგორც სპორტსმენის, მოკრძალებული შედეგებისა, მე მქონდა ბედნიერება იმ დროის გამოჩენილ სპორტსმენებთან კონტაქტისაც. დღემდე საამაყოდ მაქვს, რომ საუნივერსიტეტო სპარტაკიადებზე, უკვე როგორც ასპირანტსა და მასწავლებელს, მითამაშია ისეთი დიდი სპორტსმენის წინააღმდეგ, როგორიც ნოდარ ჯორჯიკიაა. მართალია, არა კალათბურთი, არამედ ფრენბურთი, მაგრამ მაინც... თუმცა ერთხელ, უნივერსიტეტის ნაკრების შემადგენლობაში მომიხდა თამაში ისეთი მძლავრი გუნდის წინააღმდეგ, როგორიც იყო თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი. მახსოვს, ამხანაგები წამომყვნენ ამ თამაშზე და გულშემატკივრობასა და გამხნევებას შემპირდნენ. ჩვენმა მწვრთნელმა გიორგი ავალიშვილმა მე მომანდო გამოცდილი, მშვენიერი კალათბურთელის ლევ ძეკონსკის მეურვეობა. თქვენს მტერს, რაც მან მიყო: რაღაც მოულოდნელ ილეთებს მიტარებდა და ზუსტად სამ წუთში ოთხი პერსონალური ჯარიმა „ამკიდა“; მაშინ ეს კმაროდა მოედნის დასატოვებლად. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩამაგდეს საგულშემატკივროდ წამოყოლილმა ამხანაგებმა.

კიდევ ერთი სასაცილო ეპიზოდი ჩემი საკალათბურთო ბიოგრაფიიდან. საფაკულტეტო გუნდებს შორის აღიარებულ ლიდერად 50-იან წლებში ითვლებოდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, მეორე-მესამე ადგილებისთვის იბრძოდნენ ეკონომისტთა და აღმოსავლეთმცოდნეთა გუნდები; პირველში გამოდიოდნენ პირველი გუნდის წამყვანი მოთამაშეები: ფრიდონ გერსამია და გედეონ ჩელაია, ხოლო მეორეში თამაშობდა იმხანად უნივერსიტეტის მთავარი „ცენტრი“ კარლო ადეიშვილი. ისტორიკოსთა გუნდი, რომელშიც მეც გამოვდიოდი, ჩვეულებრივ, მეოთხე იყო ხოლმე. მაგრამ ერთ წელს მოხდა მოულოდნელი რამ: რაღაც მანქანებით ჩვენ ეკონომისტებსაც მოვუგეთ, აღმოსავლეთმცოდნეებსაც და ფინალში გავედით. გეოლოგებმა გადაწყვიტეს დავესაჯეთ ასეთი კადნიერებისთვის და განსაკუთრებული ალმავლობით გვეთამაშნენ. პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით...32:0! დამეთანხმებით, კალათბურთის ისტორიაში იშვიათია ასეთი შედეგი! მეორე ნახევარში რამდენიმე ბურთი მოვათავსეთ მოწინააღმდეგის კალათში, მაგრამ განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა თამაშის ბოლო წუთები: მეტოქე ყველაფერს აკეთებდა, რომ ანგარიში 100-მდე აეყვანა, ჩვენ კი თავს ვიკლავდით, რომ ეს არ მომხდარიყო. ჩვენ „გავიმარჯვეთ“ — გეოლოგებმა „მხოლოდ“ 99 ქულა მოაგროვეს.

მოსაგონებელს რა გამოლევს. მაგრამ დღეს, ალბათ, სხვაა მთავარი. მე, როგორც ყოფილ კალათბურთელს, განსაკუთრებით მტკივა გული ქართული კალათბურთის პოზიციების ესოდენი შესუსტების გამო.

---

**მკითხველი — გაზეთი**

**ამას წინათ ქუთაისში ვიყავი და, როგორც რაგბის მოყვარული, ქუთაისის „აიას“ ბედით დავინტერესდი. ნაცნობებმა მითხრეს — მორჩა, „აია“ წელს ის გუნდი აღარ იქნება რაც იყო, ყველაფერს აქვს დასასრულიო. ნუთუ მართლა ასე ცუდად აქვს საქმე ჩვენს სახელგანთქმულ მორაგბეთა გუნდს?**

**რეზო ბელაშვილი**

**ზესტაფონი**

ის იყო დავაპირეთ გუნდში კორესპონდენტის მივლინება, რომ გადაწყვეტილება გაზეთ „ქუთაისის“ ერთ-ერთმა ბოლო ნომერმა შეგვაცვლევინა. ამ გაზეთმა 16 თებერვალს გამოაქვეყნა იუზა კაციტაძის ინტერვიუ „აიას“ მთავარ მწვრთნელ დუგლას კავთელაშვილთან. ვსარგებლობთ რა ორ რედაქციას შორის მეგობრული ურთიერთობით, თავს უფლება მივეცით მკითხველის საპასუხოდ გადმოგვებეჭდა ამ ინტერვიუს მნიშვნელოვანი ნაწილი. ინტერვიუს სათაურია

## უჭირთ მორაგბეებს

ქუთაისის „აიას“ მორაგბეები წლეულს უჩვეულოდ გვიან, იანვრის შუა რიცხვებიდან შეუდგნენ ახალი სეზონისათვის მზადებას.

● **ბატონო დუგლას, რით ახსნით გუნდის ასეთ გვიან „გამოღვიძებას“, თუ არ ვცდებით, ადრეულ წლებში „აია“ თვენახევრით ადრე იწყებდავარჯიშს?**

— ყველა, დიდი თუ მცირე მიზეზის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მთავარს კი გეტყვით: გულგატეხილები ვიყავით — ოთხი თვის განმავლობაში არ მიგვიღია ხელფასი. ამას ისიც დაემატა, რომ ჩამოგვართვეს სამსახურებრივი ტრანსპორტი — ავტობუსი და „რაფ“-ი, ფაქტობრივად, არც მუხნარის ტყე-პარკში აშენებული ახალი საწვრთნელი ბაზა იყო ჩვენს განკარგულებაში. სახლმშენებელმა კომბინატმა, რომელიც 15 წლის მანძილზე დიდ დახმარებას გვიწევდა, კინაღამ პირი იბრუნა ჩვენგან. დღეისათვის მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა, მაგრამ ყველა საკითხი მაინც არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი.

მთელი გუნდის სახელით ვთხოვთ ქალაქის ხელმძღვანელობას, სახლმშენებელი კომბინატის დირექციას: ნუ დაგვტოვებენ ყურადღების გარეშე და ისევე, როგორც ორი წლის წინათ საავტომობილო ქარხანამ უსასყიდლოდ გადასცა საფეხბურთო კლუბ „ქუთაისს“ მის განკარგულებაში არსებული ბაზა და მომსახურე ტრანსპორტი, ჩვენც გაგვიწიოს მსგავსი დახმარება.

● **თქვენ ამბობთ, რომ ბიჭებს ოთხი თვე ხელფასი არ აუღიათ, რესპუბლიკურ გაზეთში კი გამოჩნდა ცნობა, რომ შარშანდელი წლის ბოლოს „აიას“ წევრები 1600-1800 მანეთით წაახალისეს?**

— ეს სიცრუეა, წარმოდგენა არა მაქვს, საიდან მოვიდა ასეთი ინფორმაცია.

● **ბატონო დუგლას, ვიცით ამ რამდენიმე ხნის წინათ შეიქმნა კლუბი „აია“. არც ამან უშველა საქმეს?**

— ჯერჯერობით კლუბის ხაზინა ცარიელია, მეოთხე სამშენებლო ტრესტი თუ გვიწევს დახმარებას. საერთოდ, გეტყვით, რომ კლუბს ანგარიში აქვს გახსნილი ქუთაისის „ბინსოცბანკის“ განყოფილებაში. მისი ნომერია 160999. კარგად გვესმის, რომ დღეს ყველა საწარმო-დაწესებულებას თუ ორგანიზაციას უჭირს, რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასაც ვითვალისწინებთ, მაგრამ ჩვენც გაგვიგეთ. სხვათა შორის, „აიას“ შარშანდელი ვალიც კი არა აქვს გასტუმრებული.

დასამალი არ არის და ჩვენს თამაშებზე ბოლო დროს ცოტა მაყურებელი დადის. კარგი იქნება, თუ წლევანდელ სეზონში „აიას“ მატჩებზე გათამაშდება ლატარია, მოეწყობა სხვადასხვა საინტერესო გასართობი სანახაობა. რამდენადაც ვიცით, შარშან საზოგადოება „ქუთაისელმა“ დიდი დახმარება გაუწია „ქუთაისის“ ფეხბურთელებს, განა ჩვენ-მორაგბეები — ქუთაისელები არა ვართ?

● **ბატონო დუგლას, „აიაში“ მომხდარ ცვლილებებზე რას გვეტყოდით?**

— გუნდი რამდენიმე მოთამაშემ დატოვა, დიდი დანაკარგია ჩვენთვის მოთამაშე-მწვრთნელი ოლეგ ლიპარტელიანი, რომელმაც დაასრულა სპორტული კარიერა. ოლეგმა ძალიან ბევრი გააკეთა გუნდისათვის როგორც პიროვნებამ და როგორც მოთამაშემ. ნამდვილად დააკლდებიან გუნდს ალექსანდრე ნაჭყებია, ალეკო ისაკაძე, მიხეილ ხარშილაძე. რაც შეეხება ხვიჩა კაშიას, იგი ჩვენდა დაუკითხავად გადავიდა მოსკოვის ერთ-ერთ გუნდში, რაგბი-13-ის თამაში ამჯობინა.

წლეულს „აიას“ მწვრთნელად იმუშავებს, ჩემი აზრით, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქუთაისელი მორაგბე ვახტანგ შავანგირაძე. გუნდის ფიზიკურ მომზადებას ძველებურად ხელმძღვანელობს სოსო დიაკონიძე.

რაც შეეხება შევსებას, გუნდში მივიღეთ რამდენიმე ახალგაზრდა პერსპექტიული მორაგბე ქუთაისის „გელათიდან“. ესენი არიან დათო გიორგობიანი, დათო აშოთია, შოთა ბზიკაძე, დათო დვალი. სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ დაგვიბრუნდნენ გელა ფირცხალავა და მამუკა ჭიქაბერიძე...

---

## „მოულოდნელი“ სახელები

სპორტული ნარდი

**ახალი**, ჩვენთვის უცნობი სისტემით ჩატარდა „ივერიის თასის“ გათამაშება სპორტულ ნარდში. მართალია, ტურნირი ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა, მაგრამ საინტერესო და უჩვეულო აქ სხვა რამ იყო: შეჯიბრების საწყის ეტაპზე დამარცხებული მონარდე ჩემპიონობისთვის ბრძოლას კი წყვეტდა, მაგრამ ეძლეოდა უფლება ე. წ. სანუგეშო ტურნირში ეცადა ბედი; თუ არც აქ გაუმართლებდა, შეუერთდებოდა თავისნაირ უიღბლოებს და მათთან პაექრობაში „ბოლო შანსად“ წოდებულ მინიტურნირში დაამტკიცებდა, რომ ყველაზე სუსტი მონაწილე არ იყო ასპარეზობისა. რაც მთავარია, სამივე — ძირითად, „სანუგეშო“ და „ბოლო შანსის“ ტურნირში წარმატებით მოასპარეზე მონარდეებს გადაეცათ შესაბამისი ჯილდოები საპრიზო ფონდიდან, რომლის საერთო ოდენობა 13400 მანეთს შეადგენდა.

მართლაც, საინტერესო სისტემას მიაგნეს საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებმა, რომელთა შემწეობითაც გაიმართა „ივერიის თასის“ გათამაშება.

მართალია, გარკვეულწილად იღბლის წყალობით, მაგრამ მაინც დაძაბულ, უშელავათო ბრძოლებში ჩემპიონობა მოიპოვა გივი გნოლიძემ, მეორე იყო სერგო ტაბუცაძე, მესამე — სოსო გიგიერი. სხვათა შორის, სპორტულ პრაქტიკაში არსებული ტრადიციისაგან განსხვავებით, ტურნირზე გამოვლინდნენ IV-V ადგილებზე გასული მონარდეებიც — ზაქრო ქიტუაშვილი და კახა ნაჭყებია. „სანუგეშო ტურნირში“ გამარჯვებულთა სამეული კი ასე გამოიყურება — 1. ზურაბ ზარქუა, 2. ომარ ძოძუაშვილი, 3. ზურაბ ცერცვაძე. ბოლო შანსი კი ხელიდან არ გაუშვა სოსო კაპანაძემ, რომელმაც არჩილ ოდიშარიას სძლია.

არ შეიძლება, ხაზი არ გაესვას ერთ გარემოებას: „ივერიის თასის“ გათამაშების ხუთივე ლაურეატი დღემდე არ ითვლებოდა რეალურ, ანგარიშგასაწევ ძალად და მათი წარმატება ისევე მოულოდნელია, როგორც ტურნირში მონაწილე უძლიერესი ქართველი მონარდეების ხელმოცარვა. საქართველოს ღია ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი მიხეილ სურგულაძე (ამ შეჯიბრებამდე, რეიტინგით, იგი №1 მონარდე იყო), საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის ოქროსა და ვერცხლის კამათლების მფლობელები — ემზარ ლაითაძე და რევაზ კოპალეიშვილი, „ტელევიზიის თასის“ გამარჯვებული ირაკლი სვიმონიშვილი, საქართველოს ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი მერაბ კიკალეიშვილი — აი, ის უძლიერესი მონარდეები, რომელნიც ტურნირის ფავორიტებადაც ითვლებოდნენ, მაგრამ ნაადრევად გამოეთიშნენ შეჯიბრებას. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სპორტულ ნარდში მოულოდნელობანი არც ისე იშვიათია.

ერთი სიტყვით, არაერთი ახალი სახელი გაიცნეს ამ შეჯიბრებით ნარდის ქართველმა გულშემატკივრებმა და, ალბათ, სიურპრიზები კვლავ გველის: მარტში გაიმართება „თოვლის თასის“ გათამაშება, რომელსაც ბაკურიანი უმასპინძლებს, ხოლო აპრილში ქუთაისში ჩატარდება საქართველოს პირველობა.

**მანანა ცხადაია**

---

### სიახლეს ალღო ვერ აუღეს

**მოგეხსენებათ**, სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ახალი წესების შემოღებას ხშირად მოულოდნელობები ახლავს.

ახლახან ქსტოვოში დამთავრებულ სამბისტთა საკავშირო ტურნირზე ყველა უძლიერესი ათლეტი შეიკრიბა. აქ საქართველოს ნაკრები გამოდიოდა ახალგაზრდული შემადგენლობით, რადგან აპრილში ტარდება საკავშირო პირველობა ახალგაზრდებს შორის, რომლის გამარჯვებულებს უფლება მიეცემათ იასპარეზონ მსოფლიო პირველობაზე. ამიტომ ჩვენმა მწვრთნელებმა გადაწყვიტეს გამოეცადათ ის ახალგაზრდა სპორტსმენები, ვისაც საკავშირო და მსოფლიო პირველობებს „ამიზნებენ“.

საქართველოს გუნდის წარმომადგენელთაგან გაიმარჯვა ქარელელმა ზაზა გულიაშვილმა (68 კგ, მწვრთნელი როლანდ ელიაშვილი); ზუგდიდელმა ზურაბ შულაიამ (57 კგ, მწვრთნელი ედუარდ კვიციანი) მესამე ადგილი დაიკავა.

ახლა კი მოკლედ იმ მოულოდნელობის შესახებ, რომელზეც დასაწყისში გვქონდა საუბარი. შეჯიბრება ჩატარდა ექსპერიმენტული წესებით. ამ სიახლის „წყალობით“ მამუკა კურდღელაშვილი, აჩიკო ბიძინაშვილი და ბადრი ჯანიაშვილი ისე დარჩნენ საპრიზო ადგილების მიღმა, რომ არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ — მათ მიერ ფრედ დამთავრებული შეხვედრები წაგების ტოლფასი აღმოჩნდა.

---

# თქვენი სვლაა!

**გლდანის** რაიონში ცხოვრობს ერთი საინტერესო პიროვნება, ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში ომარ ლელუაშვილი, რომელიც მიმოწერით ჭადრაკს თამაშობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან.

ჭადრაკის თამაში თხუთმეტი წლისამ დაიწყო. მაშინ დიდუბეში ცხოვრობდა და მეზობელმა ასწავლა. 1980 წლამდე გამოდიოდა ქალაქის სხვადასხვა „დასწრებულ“ ტურნირში.

საერთოდ, მიმოწერით ტურნირებს გეგმავს და ატარებს ჭადრაკის მიმოწერით თამაშის საერთაშორისო ორგანიზაცია. ომარი უკვე ჩვიდმეტი წელია ასეთ ტურნირებში მონაწილეობს. ყოფილა შემთხვევა, ერთდროულად სამ-ოთხ ტურნირშიც უასპარეზია.

საერთაშორისო თასის გათამაშების მეოთხედფინალური ეტაპის ბოლო ტურში ომარმა პირველი ადგილი დაიკავა. ახლა ნახევარფინალისთვის ემზადება. თითო სათასო ტურნირი ოთხ წელიწადს მაინც გასტანს ხოლმე.

ო. ლელუაშვილის მეტოქეები არიან იტალიელი ალბერტო რაიტონე, შვედი ჟან რუდვალი, ბულგარელი ივანე მინკოვი, გერმანელები: მანფრედ ოელი, როლანდ ბუცი, ჩეხი კარლ გედრისი, ესპანელი პასკუალე რეპორდი და სხვანი.

**მზია მეგალიშვილი**

---

**ინფორმაცია**

**სამტრედიაში** დამთავრდა საქართველოს პირველობა ჭაბუკ (1975-1976 წლებში დაბადებულ) კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შორის. გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: **29 კგ**. ირაკლი ნიკოლაიშვილი, **32 კგ**. ლევან მეფარიშვილი (ორივე—სამტრედია), **35 კგ**. კობა ბალავაძე, **38 კგ**. ზაზა მდინარაძე, **41 კგ**. მურმან ჯორბენაძე (სამივე — ოზურგეთი), **44 კგ**. გიორგი გაფრინდაშვილი (ქუთაისი), **47 კგ**. უჩა მჟავანაძე (ოზურგეთი), **50 კგ**. ალმასხან ჩუჩუა (ხობი), **54 კგ**. გიორგი ფრეწუაშვილი, **58 კგ**. გელა ბაჟანიშვილი, **62 კგ**. ტარიელ მელელაშვილი (სამივე — მარტყოფი), **66 კგ**. კახაბერ კუხალაშვილი, **71 კგ**. შმაგი გოქაძე (ორივე — ქუთაისი), **76 კგ**. ზურაბ დოლიძე, **81 კგ**. თემურ ბლიაძე (ორივე — თბილისი), **87 კგ**. გარიკ ხაჩატურიანი (ბათუმი), **მძიმე** — გელა კირკუზაშვილი (რუსთავი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლამაზი, სევდანარევი

მინიფეხბურთი

**თბილისში** დასრულდა გურამ ლორთქიფანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში. 24 თებერვალს არმიის სპორტული კლუბის დარბაზში მოეწყო III ტურისა და ფინალური ეტაპის შეხვედრები.

უკვე გაუწყეთ, რომ ასპარეზობის პირველი ორი ტური ქვეჯგუფებში დაძაბულად წარიმართა და ფინალისტების ვინაობაც მხოლოდ გადამწყვეტ, ბოლო დღეს უნდა გაერკვია. პირველად სარბიელი პირველი ქვეჯგუფის ლიდერებს: „მერანსა“ და „ლომებს“ დაეთმოთ. „ლომებმა“ ეს შეხვედრა ორი ბურთის სხვაობით მოიგეს და ფინალში ასპარეზობის უფლებაც მათ მოიპოვეს. ამავე ქვეჯგუფში „ნორჩი იბერიელის“ პირველმა გუნდმა სძლია „დელისს“ 1:0.

მეორე ქვეჯგუფში, „ნორჩი იბერიელი-II“-მ იოლად დაამარცხა „სამება“ — 4:1. დაძაბული გამოდგა მესამე ტურის ბოლო შეხვედრაც „ფეიქარსა“ და „სინათლეს“ შორის. მატჩი მთავრდებოდა, როდესაც „ფეიქარის“ მოთამაშეებმა სულ რაღაც ოციოდე წამში ორი ბურთის გატანა შეძლეს და საბოლოოდაც მათ გაიმარჯვეს. თუმცა ამ წარმატებამ „ფეიქარს“ ფინალურ ეტაპზე ბრძოლის გაგრძელების უფლება ვეღარ მისცა.

ქვეჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა გუნდებმა კი ფინალურ ეტაპზე იასპარეზეს. მესამე ადგილისათვის ორთაბრძოლაში „სამებამ“ მინიმალური ანგარიშით — 3:2 დაამარცხა „მერანი“. საინტერესო გამოდგა შეხვედრა მთავარი პრიზისთვისაც „ლომებსა“ და „ნორჩ იბერიელ-II“-ს შორის. შეხვედრის დაწყებისთანავე „ლომების“ წევრებმა სამი ლამაზი ბურთი გაიტანეს, რითაც, ფაქტიურად, თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს მატჩის ბედი. მეორე ტაიმში გიორგი შილაკაძის (ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოთამაშის) გატანილმა ორმა ბურთმა კი საბოლოო წერტილი დაუსვა ამ შეხვედრას. „ლომების“ ხუთ ბურთს მეტოქეებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს.

35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდი „ლომები“ (მწვრთნელი თ. ავსაჯანიშვილი) გახდა გურამ ლორთქიფანიძის სახელობის გარდამავალი პრიზის პირველი მფლობელი. ტურნირზე დაწესებული იყო მრავალი პრიზი: საუკეთესო მეკარედ „სინათლის“ მოთამაშე ზვიად ყუშიტაშვილი დაასახელეს; ხუთი გატანილი ბურთით ტურნირის ბომბარდირი გახდა ალეკო გოგობერაშვილი („სამება“); მაყურებელთა სიმპათიის პრიზი მოიპოვა ლაშა მონასელიძემ („ფეიქარი“); კიდევ ორი პრიზი — საუკეთესო მოთამაშის და საუკეთესო მცველის, „ნორჩი იბერიელის“ საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებმა ალექსანდრე იაშვილმა და სერგო გულაშვილმა დაიმსახურეს. ნორჩ ფეხბურთელებს პრიზები გურამ ლორთქიფანიძის აღმზრდელებმა, მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა გადასცეს.

დამთავრდა კიდევ ერთი ტურნირი მინიფეხბურთში, ლამაზი და სევდიანი. ლამაზი, რადგან თამაშობდა ქართული ფეხბურთის არც ისე შორეული მომავალი; სევდანარევი, რადგან მხოლოდ გურამ ლორთქიფანიძის, თბილისის „დინამოს“ სათადარიგო მეკარის, მომღიმარი სურათი იყო დარბაზში. ტურნირის ორგანიზატორებს განზრახული აქვთ, მომავალში კიდევ უფრო გაზარდონ მონაწილე გუნდების რაოდენობა.

და კიდევ ერთი: ტურნირის სპონსორი იყო გაერთიანება „საქნავთი“ (გენერალური დირექტორი რევაზ თევზაძე).

**თამუნა ჯიშკარიანი**



გამარჯვებული „ლომები“.

დ. ლეკიაშვილის ფოტო.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### „ოლიმპიაკოსი“ დასაჯეს გულშემატკივრებმა

**საბერძნეთის** ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საფეხბურთო კლუბის „ოლიმპიაკოსის“ ფათერაკები ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის. გულშემატკივრებმა თავიანთ კლუბს დათვური სამსახური გაუწიეს და, როგორც საბერძნეთის გაზეთები იუწყებიან, სპორტის საქმეთა საგანგებო მოსამართლემ მიხალის კარატცასმა მკაცრი განაჩენი გამოიტანა: „ოლიმპიაკოსს“ წაგება ჩაეთვალოს „პანათინაიკოსთან“ შეხვედრაში; გუნდს დააკლდეს კიდევ 2 ქულა; ნეიტრალურ მოედნებზე გადაიტანონ ჩემპიონატის 5 მატჩი, რომლებიც ათენელ ფეხბურთელებს შინ უნდა ეთამაშათ და, გარდა ამისა, კლუბი და მისი მფლობელები დაჯარიმდნენ დიდი თანხით.

ასეთი გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, „ოლიმპიაკოსს“ უსპობს ჩემპიონატში გამარჯვების შანსს და ეს მთლიანად ედებათ ბრალად გუნდის ქომაგებს, რომლებიც სისტემატურად ხულიგნობდნენ სტადიონზე. გულშემატკივართა მიერ ტრიბუნებზე ატეხილი მასობრივი დებოშის შედეგად ბოლო ორი შეხვედრა საერთოდ ჩაიშალა და არ დამთავრებულა, ბევრი მაყურებელი დაიჭრა, ერთი კაცი დაიღუპა. მაყურებლები მასობრივად გადმოდიოდნენ მინდორზე და აპირებდნენ მსაჯებთან ფიზიკურ ანგარიშსწორებას.

ამ სასჯელების შედეგად „ოლიმპიაკოსმა“ მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ჩემპიონატში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ მას პრაქტიკულად აღარა აქვს საშუალება დაეწიოს თავის მთავარ მეტოქეს „პანათინაიკოსს“.

თუმცა, საბერძნეთის პრესაში გამოჩნდა საპირისპირო ცნობები იმის თაობაზე, რომ სტადიონზე მომხდარი უწესრიგობანი არის არა „ოლიმპიაკოსის“, არამედ მოქიშპე გუნდების ქომაგთა მიერ მოწყობილი საგანგებო პროვოკაცია. ამიტომაც, „ოლიმპიაკოსის“ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს გაასაჩივროს სასამართლოს ეს მკაცრი განაჩენი.

### პრემია დაუგვიანეს

**ბანვლილ** ოთხშაბათს გაფიცვა გამოაცხადეს საბერძნეთის დედაქალაქ ათენის საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიაკოსის“ წევრებმა. გუნდის მწვრთნელია ო. ბლოხინი. მოთამაშეთა შორის არიან საბჭოთა ფეხბურთელები ო. პროტასოვი, გ. ლიტოვჩენკო და ი. სავიჩევი. გაფიცვა გამოწვეულია იმით, რომ ფეხბურთელებს დაუგვიანეს საპრემიო თანხის გაცემა, ისინიც. საპასუხოდ, საწვრთნელად არ გამოვიდნენ.

„ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელმა ო. ბლოხინმა განაცხადა, რომ საბერძნეთის გუნდებში ამგვარი გაფიცვები იშვიათი არაა, რაც შეეხება საბჭოთა სპორტსმენებს, ისინი სოლიდარობას უცხადებენ თავიანთ თანაკლუბელებს.

როგორც ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, „ოლიმპიაკოსი“ ფინანსურ სიძნელეებს არ განიცდის, უბრალოდ, ბანკმა დაუგვიანა გუნდს ფულის გადარიცხვა, მაგრამ პროფესიონალი ფეხბურთელები ამ საქმეს სერიოზულად მიიჩნევენ და ამგვარ უკიდურეს ზომას მიმართავენ.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# ფერენც პუშკაში „ცალფეხა მაიორი“

1963 წელს ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი მიმდინარეობდა. ერთმანეთს ინგლისისა და ფიფა-ს ნაკრებები ხვდებოდნენ. საბჭოთა კომენტატორი წამდაუწუმ ასახელებდა მატჩის მონაწილეთა გვარებს, მაგრამ არასდიდებით არ ახსენებდა ერთ ფეხბურთელს. ეს, ასე ვთქვათ, თავისებური იდეოლოგიური ანგარიშსწორება იყო. არადა, ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს „ათი ნომერი“ გახლდათ ლეგენდარული უნგრელი თავდამსხმელი ფერენც პუშკაში — ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი ფეხბურთის ისტორიაში.

პუშკაში მართლაც რომ უნიკალური ფიგურაა ფეხბურთში. სხვადასხვა დროს უთამაშია უნგრეთის, ესპანეთის, ფიფა-სა და უეფა-ს ნაკრებებში; მწვრთნელად მუშაობდა რვა ქვეყანაში. და, ვინ მოთვლის, რამდენი ბურთი გაუტანია თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე. „ვერაფერს მოგახსენებთ, შეიძლება სტატისტიკოსებმა იცოდნენ. მე კი, თუ რამე მახსოვს, ეს ის გამოუყენებელი საგოლე მომენტებია, შემდეგში სიცოცხლეს რომ მიმწარებდა“.

ფერენც პუშკაში დაიბადა 1927 წლის 2 აპრილს. მისი გერმანელი პაპა ფრანც პურცფელდი შვაბიიდან უნგრეთში გადასახლდა. 20-იან წლებში მისმა შვილმა, პროფესიონალმა ფეხბურთელმა და შემდეგ ბუდაპეშტის „კიშპეშტის“ მწვრთნელმა, რომელიც ასევე ფრანც პურცფელდი გახლდათ, სახელი და გვარი შეიცვალა — ფერენც პუშკაში გახდა. რა იცოდა მან, რომ მისი შვილი — უმცროსი ფერენც პუშკაში, უკვე მთელ მსოფლიოში გაითქვამდა სახელს.

საყურადღებოა, რომ ფერენც პუშკაში 24 წლის (!) მანძილზე სულ ორ საკლუბო გუნდში: ბუდაპეშტის „კიშპეშტსა“ (მოგვიანებით მას „ჰონვედი“ დაერქვა) და მადრიდის „რეალში“ თამაშობდა. სტატისტიკოსებს პირდაპირ თავბრუდამხვევი მონაცემები მოჰყავთ: ოთხჯერ გახდა უნგრეთის ჩემპიონატის უპირველესი სნაიპერი: 1948 წელს 50 (!) გოლი გაიტანა, 1949-50 წლების პირველობებში —31, 1950 წლის ჩემპიონატში — 25, 1953 წელს — 27. ესპანეთის პირველობებში: 1960 წელს — 26, 1961 წ. — 27, 1963 წ. — 26, 1964 წ. — 10 გოლი. მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში (1958-66 წ.წ.) 372 კალენდარულ მატჩში მიიღო მონაწილეობა და 324 ბურთი გაიტანა. 1945-56 წლებში უნგრეთის ნაკრების მაისური 84-ჯერ ჩაიცვა და 83 ბურთიც გაიტანა, 1961-62 წლებში ესპანეთის ნაკრებში 4 მატჩი ითამაშა და 2 გოლი გაიტანა. გაგაცნობთ ჩეხური „მალა ენციკლოპედიე ფუტბალუს“ მონაცემებს: თავისი კარიერის მანძილზე პუშკაშმა მონაწილეობა მიიღო 1300 მატჩში და 1200 გოლის „ავტორი“ გახდა. ფანტასტიკური მიღწევაა! პუშკაშმა ოლიმპიურ ოქროსაც „გაუსინჯა გემო“ 1952 წელს, 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატში კი თანაგუნდელებთან ერთად ვერცხლსღა დასჯერდა; 1962 წელს 35 წლისა (!) მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა.

ეროვნულ ნაკრებში პუშკაშმა პირველად 18 წლისამ ითამაშა 1945 წლის 20 აგვისტოს ავსტრიელების წინააღმდეგ (5:2) და გულშემატკივრებმა მაშინვე „სასიყვარულო“ მეტსახელი — „ცალხეფა“ შეარქვეს. იმდროინდელ უნგრულ პრესაში წერდნენ: „ერთი ფეხი იმისთვის სჭირდება, რომ იდგეს, მეორე (მარცხენა) კი—კარში დასარტყმელად“. შემდეგში, როცა არმიელთა კლუბში მოთამაშე პუშკაშმა მაიორის წოდება მიიღო, მას უკვე „ცალფეხა მაიორს“ ეძახდნენ. უნგრეთის ნაკრებს 11 წლის შემდეგ, 1956 წლის 14 ოქტომბერს, გამოეთხოვა (2:0 კვლავ იმავე ავსტრიელების წინააღმდეგ). ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ცოტა ხნის შემდეგ „ცალფეხა მაიორი“ სხვა ქვეყნის ღირსებას დაიცავდა.

პუშკაშის ყველა სპორტული მიღწევის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ზოგიერთი მომენტი მაინც უნდა აღვნიშნოთ. 1952 წელს ჰელსინკში უნგრეთის ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. იუგოსლავიის მეტად ძლიერი გუნდის დამარცხების შემდეგ (2:0) უნგრელთა ნაკრებს „დიდი გუნდი“ უწოდეს. გროშიჩმა, ბოჟიკმა, ჰიდეგკუტიმ, კოჩიშმა, ბუდაიმ, ლორანტმა, ლანტოშმა და, რა თქმა უნდა, თვითონ პუშკაშმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი. როდესაც მოგვიანებით პუშკაშს ჰკითხეს, რომელი გუნდი იყო, ბოლოს და ბოლოს, უძლიერესი ფეხბურთის ისტორიაში — მისი თუ ბრაზილიის 1958 წლის ნაკრები, „ცალფეხა მაიორმა“ ასე უპასუხა: „რა თქმა უნდა, ჩვენი. პელეს გუნდს აუცილებლად მოვუგებდით“.

1953 წელს „დიდმა გუნდმა“ ორჯერ სძლია ინგლისის ნაკრებს — ჯერ ლონდონის „უემბლიზე“ — 6:3, იმ სტადიონზე, სადაც ინგლისელები მანამდე კონტინენტის გუნდებთან არასოდეს დამარცხებულან, შემდეგ კი ბუდაპეშტის „ნეპსტადიონზე“ — 7:1. ამ პერიოდში უნგრელები მართლაც რომ გასაოცარ შედეგებს აღწევდნენ. დავაკვირდეთ ასეთ მონაცემებს: 1949 წლის 8 მაისიდან მოყოლებული



1955 წლის 27 ნოემბრამდე ნაკრებმა გამართა 59 ოფიციალური მატჩი: 50 მოიგო, 7 ფრედ დასრულდა და მხოლოდ ორი წააგო, ბურთების სხვაობა — 245:69.

სპეციალისტების უმეტესობა მოელოდა, რომ ამ, ფაქტობრივად, უძლეველ გუნდს 1954 წლის შვეიცარიაში მსოფლიო ჩემპიონობა უნდა მოეპოვებინა. ასეც იყო ფინალამდე, რომელშიც უნგრელები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს შეხვდნენ. პუშკაშმა გახსნა ანგარიში, შემდეგ უნგრელებმა მეორე ბურთიც გაიტანეს. თითქოს გამარჯვება ახლოს იყო, მაგრამ გერმანელებმა ზედიზედ სამჯერ აიღეს მეტოქის კარი და ჩემპიონობაც მათ დარჩათ. ბევრმა ასეთი შედეგი შემთხვევითობად მიიჩნია, მაგრამ თვით პუშკაში არ დაეთანხმა მათ. მიუხედავად იმისა, რომ იგი მსაჯზე ნაწყენი იყო (მან ერთი გოლი არ ჩაუთვალა), „ცალფეხამ“ მაინც აღნიშნა გერმანელების დიდებული ოსტატობა. აქ ხაზი უნდა გავუსვათ პუშკაშის ნამდვილ რაინდობას — ფინალურ მატჩში იგი დაშავებული თამაშობდა: ამ ჩემპიონატის წინასწარ მატჩში უნგრელები და გერმანელები ერთმანეთს შეხვდნენ (მატჩი უნგრელებმა მოიგეს — 8:3), ლიბრიხმა უნგრელთა სნაიპერს ტრავმა მიაყენა, რომელიც ფინალური მატჩისთვის მთლიანად ვერ მოუშუშდა.

1956 წლის ოქტომბერში, უნგრეთის სახალხო აჯანყების დროს, „ჰონვედი“ იმყოფებოდა ესპანეთში, საიდანაც პუშკაში სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

ორი წლის განმავლობაში იგი დისკვალიფიცირებული იყო, 1958 წლის სეზონიდან კი მადრიდის „რეალს“ დაუკავშირა თავისი სპორტული ბედი. „რა უნდა გითხრათ? ამ გუნდში თამაში რომ დავიწყე, 10 კილოგრამი მქონდა მომატებული“.

ასაკის მიუხედავად, პუშკაში „რეალის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე და მადრიდელთა საყვარელი ფეხბურთელი გახდა. ბევრს წერდნენ დი სტეფანოსა და პუშკაშის განუმეორებელ დუეტზე. 1960 წელს გლაზგოს „ჰემპდენ-პარკზე“ 135 ათასი მაყურებელი დაესწრო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩს „რეალსა“ და მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტს“ შორის, რომელიც „რეალმა“ მოიგო ანგარიშით 7:3. პუშკაშმა 4 ბურთი გაიტანა, დი სტეფანომ კი — 3.

პუშკაშის აზრით, მადრიდის „რეალთან“ იმ ხანად თამაში საერთოდ შეუძლებელი იყო. ისევე როგორც ქალების სილამაზე, ფეხბურთელთა დიდებაც ხომ წარმავალია. რაღა დარჩა ერთ მშვენიერ დღეს „რეალისაგან“? — დი სტეფანო „ესპანიოლში“ გადავიდა, დიდი ბრაზილიაში დაბრუნდა, კოპა — საფრანგეთში, დომინგესი — ურუგვაიში, დელ სოლი „იუვენტუსის“ მოთამაშე გახდა, ვიდალი — როტერდამის „ფეიენოორდისა“. „მე კი... მე კი მალე თავი დავანებე თამაშს“.

1967 წლიდან მოყოლებული პუშკაშმა ახალი პროფესია — მწვრთნელობა „მოირგო“. თავიდან სანფრანცისკოს „გოლესში“ მუშაობდა, შემდეგ — კანადის „ვანკუვერ როიალსში“, 4 წლის განმავლობაში ათენის „პანათინაიკოსს“ ხელმძღვანელობდა. ამ დროს მისმა „ბერძნულმა“ გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალამდე მიაღწია. პუშკაშმა წარმატებით იმუშავა ესპანურ კლუბ სანტიაგოს „მურსიასთან“ (ჩილე), „კოლოკოლოსთან“, შემდეგ, კვლავ საბერძნეთში დაბრუნდა, ამჯერად ათენის აეკ-ს ჩაუდგა სათავეში, ეგვიპტეშიც სცადა ბედი — აქ „პორტ საიდს“ წვრთნიდა, ერთხანს საუდის არაბეთის ნაკრებსაც ხელმძღვანელობდა. ბერძნულ ფეხბურთის სამყაროსთან კონტაქტმა პუშკაშს ამ ორიოდე წლის წინ თავი ამოაყოფინა... შორეულ ავსტრალიაში! საქმე ის არის, რომ ამ ქვეყნის პირველ ლიგაში გამოდის ერთ-ერთი წამყვანი კლუბი „მელბურნ ელას სოკერ კლაბი“, ანუ, უბრალოდ „ელადა“, რომელიც უნგრელმა ემიგრანტებმა დააარსეს. ამ გუნდის წვრთნა შესთავაზეს პუშკაშს, რომელსაც უნგრეთში „ცალფეხა მაიორი“ ეძახდნენ, გერმანელები — ფრანცს, ესპანელები — პანჩოს, ბრაზილიელები კი — „ლიპიანს“.

— უნდა გითხრათ, რომ თითქმის ყველაფრით კმაყოფილი ვარ — უთხრა პუშკაშმა ერთ-ერთ ჟურნალისტს — გუნდი ახალგაზრდულია, არაერთი ნიჭიერი მოთამაშეც ჰყავს, ოთხი-ხუთი მათგანი ავსტრალიის ნაკრებშიც გამოდის. დირექტორატიც პატივისცემით მექცევა, მაგრამ...

ეს მაგრამ გახლავთ ნოსტალგიის გრძნობა. დღე ისე არ გავა, რომ ვეტერანმა მაგნიტოფონი არ ჩართოს, უნგრული სიმღერები არ მოისმინოს. „უნგრელი ბოშების სიმღერები მიყვარს. ესპანეთში რომ ძეხვის ფაბრიკას ვფლობდი, იმას რატომ არ აღნიშნავენ, რომ უნგრულ ძეხვს ვამზადებდით და მსოფლიოში განთქმული უნგრული „პაპრიკას“ (წიწაკა) გემოც გავასინჯე ესპანელებს“.

პუშკაშზე არაერთხელ უთქვამთ, სად ფეხბურთელი და სად ასეთი ღიპიო. ვეტერანი არ მალავს, რომ ყოველთვის იყო უნგრული სამზარეულოს დიდი თაყვანისმცემელი და ხშირად არც ლუდზე ამბობდა უარს.“

ამ რამდენიმე წლის წინათ პუშკაშის სახელს უნგრეთში „ტაბუ“ მოხსნეს. როცა იგი პირველად დაბრუნდა სამშობლოში (25 წლის შემდეგ!) და ვეტერანთა მატჩში მიიღო მონაწილეობა, მაყურებელი თვალნათლივ დარწმუნდა, რომ „ღიპიანმა“ შეიძლება ბევრი რამ დაკარგა, მარცხენა ფეხით უძლიერესი დარტყმის გარდა, რამაც მას თავის დროზე მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

— კიდევ რამდენიმე ხანს ვიმუშავებ მწვრთნელად — თქვა პუშკაშმა — ამასობაში კი, ხუმრობა საქმეა, 70 წელი მომიკაკუნებს! იცით რა, ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. მწვრთნელობას თავს დავანებებ და უბრალოდ... გულშემატკივარი გავხდები!

**ზიზი ზამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი • უმაღლესი ლიგა

# სუსტი ფინიში

ალმა-ათასა და ლვოვში გაიმართა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**ალმა-ათა.** თბილისის დინამოელებმა ბოლო შეხვედრები ერთობ სუსტად ჩაატარეს და ზედიზედ სამი მარცხი იწვნიეს, თანაც მეტოქის კარში 20 ბურთი გაიტანეს, საკუთარში კი სარეკორდოდ ბევრი — ორმოცი მიიღეს.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: კიევის დინამოელებთან ორთაბრძოლას ჩვენი წყალბურთელები მესამე პერიოდის შემდეგ საკმაოდ დამაჯერებლად იგებდნენ (7:4), მაგრამ ბოლო პერიოდში კატასტროფული მარცხი განიცადეს (1:6) და, ცხადია, დათმეს კიდეც შეხვედრა. ასევე სუსტად ითამაშა დაცვამ მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან მატჩის პირველსა და მესამე პერიოდებში (შესაბამისად წააგეს — 1:5 და 0:6), თუმცა ვერც თავდამსხმელებმა გამოიჩინეს თავი. ამ მატჩში მათ მხოლოდ სამი გოლი გაიტანეს.

ახლა კი ტექნიკურ შედეგებს გადავხედოთ: „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (ალმა-ათა) 9:16, (1:5, 3:5, 1:2, 4:4), „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი)—8:10 (1:2, 1:1, 5:1, 1:6), „დინამო" (თბილისი) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 3:16 (1:5, 1:3, 0:6, 1:2).

ბოლო სამი ტურის სხვა მატჩები: უნივერსიტეტი — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 12:6, „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 8:8, უნივერსიტეტი — „სპარტაკი" 11:8, „დინამო" (ალმა-ათა) — „ლოკომოტივი" 8:8, „ლოკომოტივი" — „სპარტაკი" 9:8, „დინამო" (ალმა-ათა) — „დინამო" (კიევი) 12:9.

**ლვოვი.** ცსკ სსფ — „დინამო" (მოსკოვი) 14:12, „მოსკვიჩი" — შწფ (სევასტოპოლი) 6:5, „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (ლვოვი) 12:10, „დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" 11:8, ცსკ სსფ — შწფ 15:9, „დინამო" (ლვოვი) — „მოსკვიჩი" 12:10.

ლენინგრადის, ვოლგოგრადის, მინსკისა და ტაშკენტის საცურაო აუზებში გაიმართა წყალბურთელთა საკავშირო თასის გათამაშების წინასწარი შეხვედრები. ლენინგრადში ასპარეზობდა თბილისის ორი გუნდი — უნივერსიტეტი და „დინამო". გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს:

უნივერსიტეტი — „მაიაკი" (მოსკოვი) 12:12, „ბალტიკა" (ლენინგრადი) —„დინამო" 15:12, „დინამო"— „მაიაკი" 7:7, „ბალტიკა" — უნივერსიტეტი 13:7, „დინამო" — უნივერსიტეტი 11:10, „მაიაკი" — „ბალტიკა" 8:8.

მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება 5-7 აპრილს ძერჟინსკსა და ვორონეჟში.

# ჭადრაკის ამბები

**პეკინი.** ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა, ჩინელ სიე ჟიუნისა და იუგოსლაველ ალისა მარიჩის მატჩის მეექვსე პარტია 48-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ანგარიში გახდა 3,5:2,5 ჩინელი მოჭადრაკის სასარგებლოდ.

**ლინარესი.** ესპანეთის ამ საკურორტო ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის პირველი ორი ტური სენსაციური შედეგებით აღინიშნა. გათამაშების სტარტზე მარცხი განიცადა მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა. იგი ვასილი ივანჩუკთან დამარცხდა. მეორე წრეში კასპაროვის ბედი გაიზიარა თეთრებით მოთამაშე ანატოლი კარპოვმაც. მას აჯობა ახალგაზრდა ინდოელმა მოჭადრაკემ ვიშვანატან ანანდმა. სხვათა შორის, კარპოვი და ანანდი, როგორც მსოფლიო პირველობის პრეტენდენტები, ერთმანეთს შეხვდებიან წლეულს აპრილში. ეს მეოთხედფინალური მატჩი ბრიუსელში გაიმართება.

პირველი და მეორე ტურის სხვა შეხვედრებიდან შეიძლება გამოვყოთ კარპოვის გამარჯვება იან ელვესტთან და გარი კასპაროვისა ბორის გელფანდთან.

ორი ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს ინდოელმა ანანდმა და ალექსანდრე ბელიავსკიმ. მათ ორორი ქულა აქვთ.

## ვინ იქნება შემდეგი?

ბორის ბეკერისა და მისი მწვრთნელის ბობ ბრეტონის თანამშრომლობა სამნახევარ წელს გრძელდებოდა. როგორც გერმანელი ჩოგბურთელის მენეჯერმა იონ ცირიაკმა განაცხადა, კონტრაქტის ვადა 15 თებერვალს გავიდა, მაგრამ იგი, ორთავე მხარის შეთანხმებით, აღარ გაგრძელდება.

ამ ავსტრალიელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით (რომელიც ინგლისში ცხოვრობს) ბეკერმა მოიგო „დიდი მუზარადის" სამი ტურნირი, მათ შორის ავსტრალიის წლევანდელი ღია ჩემპიონატი. როგორც პრესა აღნიშნავს, ჩოგბურთელსა და მწვრთნელს შორის უთანხმოება არ ყოფილა.

**ბეკერი:** „ბობ ბრეტონის დიდი მადლობელი ვარ. მისი დახმარებით უფრო აზრიანად და გაბედულად დავიწყე თამაში".

**ბრეტონი:** „ორთავემ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. ჩემთვის ბეკერთან მუშაობა უდიდესი სიამოვნება იყო. მას ღირსეული ადგილი უკავია ყველა დროის უძლიერეს სპორტსმენთა შორის".

ვინ იქნება 23 წლის ბეკერის მწვრთნელი, ძნელი სათქმელია, ცირიაკის განცხადებით, მათ აქვთ არჩევანი რამდენიმე კანდიდატს შორის. ეს შეიძლება იყოს ჩეხოსლოვაკიელი ტომაშ შმიდი, ან უნგრელი ბალაშ ტაროცი, ან კიდევ, ვინმე სხვა...

# რალი „მონტე-კარლო"

**მსოფლიოს** მორიგი ჩემპიონატი ავტორალში იანვრის ბოლოს, ტრადიციულად, მონტე-კარლოს რალის გათამაშებით დაიწყო.

სანამ ამ შეჯიბრების შესახებ ვისაუბრებდით, შეგახსენებთ, რომ შარშანდელი ჩემპიონატის ბოლო ორი ეტაპი „რალი სან-რემო" და ინგლისის „სამეფო ავტოკლუბის ლომბარდ რალი" მოიგეს, შესაბამისად, დიდიე ორიოლი — ბერნარ ოჩელისა („ლანჩა") და კარლოს საინცლუის მოიას („ტოიოტა"). ეკიპაჟებმა. ამით „ლანჩა მარტინი" გახდა კონსტრუქტორთა პირველობის ცხრაგზის გამარჯვებული (1972, 74, 75, 76, 83, 87, 88, 89, 90 წ. წ.), ხოლო ესპანელი კარლოს საინცი — პირველად მსოფლიო ჩემპიონი.

სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედებების გამო მოსალოდნელი ტერორისტული აქტების საშიშროებამ „რალი მონტე-კარლოს" ორგანიზატორებს გადააწყვეტინა, დახმარება ეთხოვათ საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, რათა მათ უზრუნველეყოთ რბოლის უსაფრთხოება.

მიუხედავად ასეთი დაძაბული ვითარებისა, შეჯიბრების საყურებლად საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა.

„პროლოგი" გაიმართა ლოზეტის ტბის თოვლიან ტრასაზე. „ლანჩას" სამმა პილოტმა მასიმო ბიაზიონმა, იუჰა კანკუნენმა და დიდიე ორიოლმა საინტერესო შეჯიბრება გამართეს. აქვე შედგა ალესანდრო ფიორიოს დებიუტი „ფორდ სიერას" საჭესთან. შემდეგ ტექნიკური შემოწმება გაიარა ყველა ეკიპაჟმა.

წელს, როგორც ცნობილი გახდა, „ლანჩას" პილოტებს ჩაფიქრებული აქვთ მსოფლიოს ორივე უმაღლესი ტიტულის (პილოტთა და კონსტრუქტორთა) მოპოვება, რისთვისაც ბიაზიონიც, კანკუნენიც და ორიოლიც საუკეთესოდ მოემზადნენ.

„რალი მონტე-კარლოს" მარშრუტი იყო მონტე-კარლო — ობნა — დინი — მონტე-კარლო, სულ 3373 კმ.

იმ დღეებში მთავარი სალაპარაკო თემა კვლავ ორი უძლიერესი ფირმის — „ლანჩას" და „ტოიოტას" „დუელი" იყო. იაპონელებს განზრახული აქვთ კონსტრუქტორთა პირველობის მოპოვება. თავის მხრივ, „დელტა. ინტეგრალეს" პილოტები კარლოს საინცის ჩემპიონობას უმიზნებენ.

რბოლის პირველ დღეს გასასვლელი იყო სისწრაფის სპეციალური 6 მონაკვეთი. ნახევარი დისტანციის გავლის შემდეგ ესპანელმა კარლოს საინცმა საგრძნობლად ჩამოიტოვა მასიმო ბიაზიონი და ბრუნო საბი. მათ შორის დროში სხვაობა 54 წამს შეადგენდა. მეოთხე მონაკვეთი ვერ გაიარა დიდიე ორიოლმა ავტომობილის უწესრიგობის გამო და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფრანგი პილოტი უცებ მე-17 ადგილზე აღმოჩენილიყო.

საინცი შეტევაზე გადავიდა. ყოველ მონაკვეთზე საუკეთესო დროს აჩვენებდა. რბოლის პირველ დღეს „ლანჩას" პილოტებს ძალზე გაუჭირდათ წინააღმდეგობის გაწევა.

რალის მეორე დღეს გასავლელი იყო 174 კმ სიგრძის დისტანცია.

კარლოს საინცი კვლავ ლიდერობდა რბოლას, მაგრამ მის „ტოიოტას" საბურავი დაეშვა და ესპანელ პილოტს რბოლის დებიუტანტი, ფრანგი ფრანსუა დელკური წამოეწია. მისი „ფორდ სიერა" ჩაერია „ტოიოტა"-„ლანჩას" ორთაბრძოლაში.



იმ დღეს ნამდვილად საუკეთესო იყო ფრანსუა დელკური. გუნდის გადაწყვეტილებით, მან წელს ხუთ ეტაპში უნდა იასპარეზოს ენ პაუელსთან, ახალგაზრდა, მშვენიერ ინგლისელ ქალბატონთან ერთად, რომელიც დელკურის შტურმანია.

მანძილი საინცის „ტოიოტასა" და დელკურის „ფორდს" შორის თანდათან მცირდებოდა. ამას არ ელოდა მსოფლიო ჩემპიონი, რომელსაც დაგეგმილი ჰქონდა სპეციალური 18 მონაკვეთის სწრაფად გავლა და საკონტროლო პუნქტთან დროულად მისვლა.

მესამე ადგილისთვის იბრძოდა მიკი ბიაზიონი. მან გაუსწრო ბრუნო საბის, როცა ფრანგმა პილოტმა შეანელა სვლა.

ახლა დავუბრუნდეთ საინცისა და დელკურის ორთაბრძოლას.

მსოფლიო ჩემპიონმა შეცდომა დაუშვა და დელკურმა ჩამოიტოვა იგი, თუმცა ცოტა ხნით.

კარლოს საინცმა მაინც მოახერხა ლიდერის პოზიციის დაბრუნება. მან ხუთი წამით გაუსწრო დელკურს.

„რალი მონტე-კარლოს" ბოლო დღე დასრულდა კარლოს საინცის შესანიშნავი გამარჯვებით. მან საინტერესო ბრძოლაში დაამარცხა ბიაზიონი და ფრანგი დებიუტანტი ფრანსუა დელკური.

შეჯიბრების ბედი გადაწყდა დისტანციის ბოლო მოსახვევთან, სადაც მოულოდნელად ფრანგი პილოტის „ფორდი" მოსრიალდა და პირველი გამარჯვების შანსიც დაიკარგა, მას გაუსწრო კარლოს საინცმა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

რბოლის საბოლოო შედეგი:

1. კარლოს საინცი—ლუის მოია („ტოიოტა სელიკა") — 6 საათი, 57 წუთი, 21 წამი; 2. ბიაზიონი — სივიერო („ლანჩა") — ჩამორჩა 4 წუთით, 59 წამით; 3. დელკური — პაუელსი („ფორდი") — 5 წუთით და 12 წამით; 4. შვარცი—ჰერცი („ტოიოტა") — 6 წუთით, 31 წამით; 5. კანკუნენი — პიირონენი („ლანჩა") — 7 წუთით, 46 წამით; 6. საბი — გრატალუპი („ლანჩა") — 9 წუთით, 13 წამით.

გაგაცნობთ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე დამტკიცებულ რალში წლევანდელი ჩემპიონატის მომავალ ასპარეზობათა კალენდარს:

პორტუგალია (5-10 მარტი); კენია (27 მარტი — 3 აპრილი); კორსიკა (27 აპრილი — 2 მაისი); აკროპოლისი (1-6 ივნისი); ახალი ზელანდია (26-30 ივნისი); არგენტინა (22-28 ივლისი); ფინეთი (20-26 აგვისტო); ავსტრალია (19-23 სექტემბერი); სან-რემო (13-18 ოქტომბერი); კოტ დივუარი (27 ოქტომბერი — 2 ნოემბერი); კატალონია (10-14 ნოემბერი); ინგლისი (24-29 ნოემბერი).

ფედერაციამ დაადგინა, რომ კონსტრუქტორთა პირველობაში 14-დან 10 ეტაპში მოპოვებული ქულები ჩაითვლება.

მოამზადა **დავით ჩუბინიძემ.**

## „სპორტლოტო"

**გაიმართა** „სპორტლოტოს" 1991 წლის მე-8 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 1 (კალათბურთი), 11 (ფრენბურთი), 27 (მშვილდოსნობა), 31 (ფარიკაობა), 39 (ბადმინტონი), 40 (რიკაობა).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 12 (ტანვარჯიში), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 28 (ტყვიის სროლა), 34 (ბალახის ჰოკეი).

• • •

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1991 წლის მე-7 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.420.459 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. ამ ჯგუფის მოსაგები ფონდი (10.500 მანეთი) დაემატება მე-8 ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს. 5 ნომრის გამოცნობისთვის (83) მოგება 1.171 მანეთია, ოთხისთვის (2.922) — 84, სამისთვის (213) — 3 (სამი ნომრის გამოცნობისთვის მოგება გაიცემა მხოლოდ მე-9 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთებისთვის).

საქართველოში: დაშვებულია 34.879 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—61, 3—1.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 18.291.560 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (42) მოგება 13.065 მანეთია, ოთხისთვის (6.569) — 133, სამისთვის (219.179) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 419.301 ვარიანტი. 5—1, (თბილისი), 4—162, 3—4.904.

მე-7 და ამავე ტირაჟის ჩათვლით, მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 9 მარტიდან 9 აპრილის ჩათვლით.

## „სპორტპროგნოზი"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 1991 წლის მე-7 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.450.026 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (27) მოგება 1.512 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (835) — 97, 11 შედეგის გამოცნობისთვის (8.296) — 34.

საქართველოში: დაშვებულია 103.287 ვარიანტი. 13—2, 12—42, 11—512.

მე-7 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 9 მარტიდან 9 აპრილის ჩათვლით.

• • •

**მე-8 ტირაჟის შედეგები (23-24 თებერვალი)**

1—1, 2—1, 3—2, 4—1, 5—1, 6—2, 7—1, 8—2, 9—1, 10—1, 11—1, 12—2, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

## ნარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!

**საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაცია აცხადებს, რომ 15-18 მარტს ბაკურიანში ჩატარდება „თოვლის თასის" გათამაშება ნარდში.**

ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაციის წევრებს.

წინასწარი შესატანი თანხა 150 მანეთია.

მონაწილეთა რეგისტრაცია თბილისში ჩატარდება 5 მარტამდე, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში, 12-დან 15 საათამდე, 11-12 და 13 მარტს კი ბაკურიანში — „დინამოს" სპორტულ ბაზაზე.

ბინით და კვებით მონაწილენი უზრუნველყოფილნი იქნებიან და ამის საფასურს გადაიხდიან ადგილზე.

**საორგანიზაციო კომიტეტი.**

**საქართველოს სპორტსახკომი, ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობენ დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას მამის**

**გიორგი ნესტორის ძე ალექსანდრიას**

**გარდაცვალების გამო.**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჰიჰინაძე. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
ხაზდივნო — 98-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54.
„მერანი" — 98-97-20, „მარაჯე" — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „სამშობლოს" სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 28.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისელ ავტორებს პასუხი არ ეგზავნებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20